სამედიცინო დაწესებულების აკრედიტაცია

ზაზა ნინოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯერის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, სრული პროფესორი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

სარჩევი

სარჩევი..... 2

1. **შესავალი** 4

1.1 ნაშრომის აქტუალობა..... 4

1.2 მიზანი..... 5

2. **ლიტერატურის მიმოხილვა**..... 5

2.1 სამედიცინო დაწესებულების აკრედიტაცია საქართველოში..... 5

2.2 დაბალი ხარისხით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი..... 8

2.3 საერთაშორისო გამოცდილება..... 11

2.4 საერთაშორისო სტანდარტები 17

2.5 JCI (Joint Commission International)-ს აკრედიტაცია..... 19

2.6 სამედიცინო ტურიზმი და აკრედიტაცია..... 22

3. **JCI თურქეთში**..... 25

მეთოდოლოგია..... 27

შედეგები და დასკვნა 28

რეკომენდაციები 31

ბიბლიოგრაფია 33

დანართი 36

აბსტრაქტი

წინაპირობა: სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის მართვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმის აკრედიტაციის შესწავლა. მოხდება საზღვარგარეთ არსებული სიტუაციის შესწავლა და ამ მხრივ ქვეყნისთვის ისევე როგორც მასში მოქმედი სამედიციო დაწესებულებისთვის მისაღები და სასარგებლო განვითარების გზების დანახვა.

მეთოდოლოგია: დასმული ამოცანების გადასაჭრელად თვისობრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სხვადასხვა მეორეული თეორიული მასალა, რომელიც მოიცავდა აკრედიტაციის და მისი სტანდარტების მსოფლიოში წარმატებით მოქმედი საერთაშორისო გამოცდილებას. მოხდა საკანონმდებლო დადგენილებების, აგრეთვე სხვადასხვა პუბლიკაციების, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებთან გაცნობა. საწყის ეტაპზე მოვახდინე ინფორმაციის გამოთხოვნა ჯანდაცვის სამინისტროდან, ხოლო შემდგომ ვაწარმოე როგორც პირისმირ ისე სატელეფონო საუბრები, გამოკითხვები საქართველოში ამ მხრივ არსებული სიტუაციის სრული სურათის დანახვის მიზნით.

შედეგები: აღნიშნულის შესწავლამ საშუალება მოგვცა სათანადოდ გავცნობოდით საქართველოსა და საზღვარგარეთ აკრედიტაციის მხრივ არსებულ სიტუაციას, დავრწმუნებულიყავით აკრედიტაციის, როგორც ხარისხის მართვის მძლავრი ინსტრუმენტის განვითარების აუცილებლობაში. აგრეთვე იმის გარკვევაში თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იგი პაციენტის უფლებების და ჯანმრთელობის დაცვის პროცესში.

დასკვნა: აკრედიტაციის სფეროს განვითარება ქვეყანაში მაინც საწყის ეტაპზეა, არადა მისი განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების ხარისხს, რითაც ერთის მხრივ შედარებით უკეთესად იქნება დაცული მაღალი სამედიცინო მომსახურბის მიღების შესაძლებლობა, ხოლო მეორეს მხრივ მეტად მიმზიდველი გახდება უცხოელი მომხმარებლისთვის.